პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი 23 თებერვალი 1940 წ.
№ 44 (5745)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!



(სურათი გადაღებულია 1936 წ. 27 [illegible] კრემლში). ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი. [illegible]

## სოციალიზმის ქვეყნის უძლეველი არმია

მშობლიურ წითელ არმიასა და წითელ სამხედრო-საზღვაო ფლოტს დღეს XXII წელი შეუსრულდა.

მთელი 183-მილიონიანი საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულითა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავს ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ისტორიულ დღეს.

გმირული წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიქმნა ლენინ-სტალინის პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიერ სამოქალაქო ომის მძიმე წლებში. ამ დროს რუსი თეთრგვარდიელები და უცხოელი იმპერიალისტები ცდილობდნენ დედამიწის პირისაგან ღეგავათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. ბოლშევიკურმა პარტიამ მუშები და გლეხები ფეხზე დააყენა **სამშობლოს დასაცავი** ომისათვის უცხოელი დამპყრობელებისა და ბურჟუაზიულ-მემამულური თეთრგვარდიული ხროვის წინააღმდეგ. საბჭოთა რესპუბლიკამ და მისმა წითელმა არმიამ ერთიმეორეზე გაანადგურეს ანტანტის აგენტები — კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი, კრასნოვი, ვრანგელი, უკრაინიდან და ბელორუსიიდან გამევებულ იქნა ანტანტის კიდევ ერთი აგენტი — პილსუდსკი და, ამრიგად, უკუგდებულ იქნა უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია, საბჭოთა საზღვრებიდან გამევებულ იქნენ ინტერვენტთა ჯარები. გაიმარჯვა წითელმა არმიამ, გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ასე დაიბადა და გამოიწრთო სამოქალაქო ომის ცეცხლსა და ქარიშხალში მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ომის დამთავრებამ საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას გადასულიყო მშვიდობიან მშენებლობაზე. სოციალისტური მშენებლობის ყოველი წარმატება განამტკიცებდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობას. თავისი არსებობის 22 წლის განმავლობაში წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბუმბერაზულ უძლეველ ძალად გადაიქცა. სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე გამარჯვებამ საშუალება მოგვცა თავდაცვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაგვექცია მთელი ჩვენი ქვეყანა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეგვეიარაღებინა წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

წითელი არმიის ძალა და ძლიერება მდგომარეობს აგრეთვე მის ერთიან ურღვევ კავშირში საბჭოთა ხალხთან. ჩვენში არმია და ხალხი განუყოფელ ერთს წარმოადგენს. როგორც ამხ. ვოროშილოვი ოქტომბრის რევოლუციის ცხრამეტი წლისთავის დღეს პარადზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „წითელი არმია დიადი საბჭოთა ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. იცავს რა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, იგი თვითონ ხალხს წარმოადგენს, გამოხატავს მის ნებისყოფას, მის სასოებას, მის იმედებს, მის შეუპოვარ ბრძოლას ახალი სოციალისტური მიღწევებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის“.

XXII წლისთავს წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მეტად დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში ხვდება. მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარი მოდებულია ევროპისა და აზიის უდიდეს ქვეყნებში. ომში უკვე ჩაბმულია 700 მილიონამდე კაცი, ხოლო კოლონიებთან ერთად ეს შეადგენს 1.300 მილიონზე მეტ კაცს. ამ მტაცებლური ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორები — ერთის მხრივ ინგლისისა და საფრანგეთის, ხოლო მეორე მხრივ იაპონიის იმპერიალიზმის მესვეურნი ცდილობენ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მისცენ ომს და მასში ჩაბან ყველა დიდი და პატარა სახელმწიფოების ხალხები. ინგლისელმა და ფრანგმა ომის გამჩაღებელმა იმპერიალისტებმა შესძლეს სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურაში ჩაებათ ფინეთის მშრომელი ხალხის ჯალათების — მანერჰაიმ-რიუტ-ტანერის თეთრგვარდიული ბანდა. ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიძლიერე უჩვენებს ინგლისისა და საფრანგეთის გაკოტრებულ დიპლომატებს, რომ რამდენიც უნდა ეცადონ, ისინი ვერ მიაღწევენ მიზანს — ფინეთი გამოიყენონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის პლაცდარმად.

საერთაშორისო მდგომარეობის ასეთ გართულებულ ვითარებაში, საბჭოთა ხალხი, სრული რწმენით, რომ მის სამშობლოს — საბჭოთა სახელმწიფოს — იცავს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მძლავრი ძალა, მშვიდად აკეთებს თავის სოციალისტურ საქმეს, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის საქმეს.

ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ღირსეულად ასრულებენ თავის მოვალეობას. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ამხანაგი სტალინის უდიდესი მზრუნველობითა და ყურადღებით, წითელმა არმიამ თავისი რიგებიდან გამოზარდა მეთაურების, პოლიტმუშაკებისა და სამხედრო სპეციალისტების შესანიშნავი კადრები, რომელნიც ჩინებულად არიან დაუფლებული ახალი სამხედრო ტექნიკის თვითეულ დეტალს. საბჭოთა მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, მეტყვიამფრქვეველები — ესენი არიან წითელი არმიის გმირი მეომრები, რომლებმაც მტრებთან ბრძოლებში გვიჩვენეს სამხედრო ტექნიკის ბრწყინვალედ გამოყენების შესანიშნავი მაგალითები.

წითელი არმიის მებრძოლები, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, იზრდებიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის იდეოლოგიის სულისკვეთებით. ისინი არიან თავისი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, უსაზღვროდ ერთგულნი საბჭოთა ხალხისა, ბოლშევიკური პარტიის საქმისა, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისა. წითელი არმიის თვითეული მეომარი, სამხედრო ფიცის პატრიოტული სიტყვებით აღგზნებული, სახელოვნად იცავს სამოქალაქო ომის ტრადიციებს.

სამხედრო ფიცი — ურღვევი კანონია წითელი არმიის ყოველი მეომრისათვის. ომის გამჩაღებელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც მრავალჯერ მოიწადინეს თავიანთი ბინძური ფეხი შემოედგათ ჩვენს წმინდათა-წმინდა მიწა-წყალზე, საკუთარ ზურგზე გამოსცადეს წითელი არმიის სიძლიერე, საბჭოთა იარაღის ძალა და წითელ მეომართა სიმამაცე.

უკვდავი დიდებით არის მოსილი წითელი არმიის იმ გმირთა სახელები, რომელთაც გაანადგურეს ჩვენი ქვეყნის მტრები ხასანის ტბის რაიონში და მდინარე ხალხინ-გოლთან. დიდების შარავანდედით არის მოსილი იმ გმირ წითელ მეომართა სახელები, რომელთაც პოლონეთის მემამულეთა უღლისაგან გაათავისუფლეს ჩვენი თვისტომი ძმები — დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები. კაცობრიობის ისტორიაში შევა, როგორც სასახელო ფურცლები, წითელი არმიის იმ დევგმირი მეომრების სახელოვანი ბრძოლის მაგალითები, რომლებიც ფინელ ხალხს ეხმარებიან მისი სისხლისმსმელი ჯალათების — მანერჰაიმისა, ტანერისა და მათი ბანდისაგან განთავისუფლებელ ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხის მიერ აღზრდილი და წითელ არმიაში დავაჟკაცებული მეომრები მტერთან ბრძოლაში საგმირო საქმეების ნამდვილ სასწაულებს გვიჩვენებენ. წითელი არმიის ეს დევგმირი ადამიანები დაჯილდოვებული არიან სსრ კავშირის ორდენებით და საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებით. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. და ეს შემთხვევითი როდია. ჩვენი ქვეყანა არის გმირობისა და სასწაულთმოქმედი ადამიანების ქვეყანა. მათს მაგალითზე იზრდებიან მილიონობით საბჭოთა ახალი ადამიანები.

ჩვენი გმირული წითელი არმია მოკლე დროში გამარჯვებით დააგვირგვინებს ფინელი ხალხის განთავისუფლებელი ბრძოლის საქმეს. წითელი არმია, — გაანადგურებს რა თეთრფინელთა ბანდებს, ამით ჩაჰფუშავს მსოფლიო ომის პროვოკატორთა სისხლიან გეგმებს, მოსპობს ომის უსაშინლოესი კერას და ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის მშვიდობიანობის საქმეს.

„ჩვენი ამოცანა ამჟამად, თვითეული მუშისა და გლეხის ამოცანა, თვითეული მოსამსახურისა და ინტელიგენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პატიოსნად და თავგანწირულად იშრომოს თავის პოსტზე და ამით დახმარება გაუწიოს წითელ არმიას“.

ამხ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის. დღეს, როდესაც მისი 22 წლისთავზე მხურვალე სალამს ვუგზავნით მშობლიურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ჩვენი მოვალეობაა ჩვენი გმირი მეომრების საბრძოლო წარმატებებს ვუპასუხოთ ახალი წარმატებების მოპოვებით სოციალისტური შრომის ფრონტზე. საბჭოთა ქვეყნის თვითეულმა მოქალაქემ კიდევ უფრო უკეთესად უნდა იმუშაოს თავის პოსტზე. უნდა გავაფართოვოთ მრავალდაზგოსანთა მოძრაობა მრეწველობაში, ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები შრომის ნაყოფიერების დარგში ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება.

გაუმარჯოს ძლევამოსილი წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

## ხევსური წითელარმიელის სიმღერა

[illegible]
და მშობლიური ალერსი,
მოპყრობა თავაზიანი.
მატკბობს სამშობლოს სიტურფე,
მორთული ბაღნარიანი.
მესმის, რომ ვიცავ იმ მიწას,
სადაც ჰყვავიან იანი.
უძლევი ჩემი ქვეყანა,
ყოველის მხრიდან მტრიანი,
იგემოს ქვეყნის ორგულმა
[illegible]
ვიტვირთე სამსახურადა,
მტერი თუ შენზე წამოვა,
დავხვდები ვაჟკაცურადა.
ვფიცავ, დავდგები საზღვარზე,
ვით კლდე ურყევი სალისა,
მინამდის ვცოცხლობ, ვიბრძოლებ,
დიდება დიდსა სტალინსა!

**გელა ლიქოკელი**
ბარისახო, დუშეთის რაიონი.

## საბჭოთა კავშირის გმირს ივანე ულიანოვს

სამშობლო ქვეყნის დარაჯო,
რა შორს გაითქვი სახელი!
ჩამომაცალე გულიდან
მტრის ჯავრი, დარდი, ნაღველი.
გული გქონია ლომისა,
ბრძოლებში გამოწრთობილი,
დიდი საბჭოთა კავშირის
გმირი ხარ, გმირად ხმობილი.
მტრის დასაზვერად წახვედი,
დასტოვე ჩვენი საზღვარი,
ერთმა ათასსა აჯობე,
მედგრად დაეცი თავზარი.
მტრის ურდოს შერჩი პირისპირ,
შეხედე—საქმე რთულია,
ხელს მოიმარჯვე ყუმბარა,
მედგრად გიცემდა გულია.
როს აკაკანდა მტარვალის
ტყვიამფრქვეველი კრულია,
სტყორცნე ყუმბარა და
მსროლელს
გაეცხებინე სულია.
დასძახე—„სტალინისათვის!“
მტერს დაეჯახე ვეფხვადა,
მტარვალთა ურდო შეჰმუსრე
თავზე დხეცი მეხადა.
ვაშა, გმირთ-გმირო ივანე!
სხვებიც გბაძავენ ყველგანა,
რომ გამოიხსნათ მტრებისგან
ეგ დაჩაგრული ქვეყანა.
იცოცხლე დიდხანს, გმირთ-
გმირო,
გისურვებ წლებსა მრავალსა,
სტალინის უბით აღზრდილს და
ლენინის შთამომავალსა.

**გიორგი მედულაშვილი**
სადგ. გურჯაანი, რკინიგზის მუშა.

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება ოქროს მედლით

„სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1939 წლის 17 თებერვალს მიღებული დადგენილების შესაბამისად, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ოქროს მედლით დააჯილდოვა გამოფენის მონაწილეები — კოლმეურნეთა თავმჯდომარეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მოწინავეები და ორგანიზატორები, რომლებმაც მუშაობის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს. დიდი ოქროს მედალი გადაეცემა 1.000 კაცს, პატარა ოქროს მედალი—2.000 კაცს.

დიდი ოქროს მედლით დაჯილდოებულთა შორის არიან: რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეობა „კომუნიზმის განთიადის“ (გორკის ოლქის სპასკოეს რაიონი) კოლმეურნე-მედელი, ამხ. ს. ნ. ბარიშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, წარჩინებული კომბაინერი, ამხ. კ. ა. ბორინი, ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის (ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის სელენგინსკის რაიონი) პარტორგი, ამხ. ტოგოჩი დანზანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეობა „ალგის“ (გორკის ოლქის სერგაჩის რაიონი) თავმჯდომარე, ამხ. მუსტაფა საბეროვი, კიროვის მემინდვრეობის საოლქო საცდელი სადგურის დირექტორი, აკადემიკოსი, ამხ. ნ. ვ. რუდნიცკი, ციმბირში სარეკორდო მოსავლისათვის ბრძოლის ინიციატორი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამხ. მ. ე. ეფრემოვი (ალტაის მხარის ბელოგლაზოვის კოლმეურნეობა „ნაპერწკალი“) და სხვები.

ოქროს მედლით დაჯილდოებულნი ამავე დროს მიიღებენ ფულადს პრემიას: დიდი ოქროს მედლით დაჯილდოებულნი—3.000 მანეთს, ხოლო პატარა ოქროს მედლით დაჯილდოებულნი—2.000 მანეთს.

(საკდესი).

## საქართველოს ორდენოსანი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებებისათვის და ორი წლის განმავლობაში, 1937 და 1938 წლებში, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებით **საპატიო ნიშნის ორდენით** საქართველოდან დაჯილდოებულნი არიან: ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის და ოჩამჩირის რაიონის სოფ. ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

აქვე ვათავსებთ მასალებს ამ საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობათა წარმატებების შესახებ.

### ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ 1937 და 1938 წელს სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 2.589 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ 2.200 კილოგრამისა. მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა ამ წარმატებებისთვის ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით დააჯილდოვა.

1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ოჩხამურელებს საშუალება მისცა გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდი გადაჭარბებით შეესრულებინათ. მაგალითად, 1939 წელს ამ მეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 3.297 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, სახელმწიფოს ჩააბარა სულ 1.718.171 კილოგრამი ჩაი, გეგმის 106,2 პროცენტი, აქედან 1.203.900 კილოგრამი პირველი ხარისხისა.

ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად 556 სტახანოველია, რაც მუშათა საერთო რაოდენობის ნახევარს უდრის. მეურნეობის 38 საწარმოო ბრიგადა, 837 მუშა და სპეციალისტი ჩაბმულნი არიან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს საბჭოთა მეურნეობა უკვე გახდა რენტაბელურ მეურნეობად. შარშან მან სახელმწიფოს 549.700 მანეთის მოგება მისცა.

### შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას იღებდა ფართო ჩვენებით. გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 350 ცალის ნაცვლად 1937-1938 წელს კოლმეურნეობამ მიიღო ციტრუსოვანთა საშუალო მოსავალი 456 ცალი, სრულსაკოვან ხეზე გადაყვანით. ამ წარმატებისათვის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა იგი პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით დააჯილდოვა.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა 1939 წლის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები. 278.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 312.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 10.000 კილოგრამის ნაცვლად 50.000 კილოგრამი ტუნგოს ნაყოფი, აგრეთვე 9.900 ათასი ცალი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი, 1.900 ათასი ცალით მეტი, ვიდრე უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულებით ჰქონდა ნაკისრი.

1938 წელს კოლმეურნეობამ მიიღო 1.168.768 მანეთი ფულადი შემოსავალი. 1939 წელს ამ შემოსავალმა 1.800.000 მანეთამდე მიაღწია, თვითეულ შრომადღეზე გაიცა 12 მანეთი ფულად და 2 კილოგრამი სიმინდი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობა წელს კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატებებით მიდის.

### ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა

აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფ. ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 1937 და 1938 წელს 2200 კილოგრამის ნაცვლად, რაც გამოფენაში მონაწილეობისათვის იყო დაწესებული, თვითეულ ჰექტარზე სრულმოსავლიან პლანტაციაზე გადაყვანით მიიღო საშუალოდ 3.234 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

საქართველოს იმ ოთხ კოლმეურნეობას შორის, რომლებიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის 1939 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით სოფლის მეურნეობაში შესანიშნავი წარმატებებისათვის და გამოფენის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით დაჯილდოვდა, იყო ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაც. ამ კოლმეურნეობამ 1939 წელს მოსავლიანობის გადიდებაში კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია.

### ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა

ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას იღებდა სიმინდისა და თხილის უხვი მოსავლით და მეღორეობის ფერმის მაღალი მაჩვენებლებით. კოლმეურნეობამ 1937 და 1938 წლებში თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო სიმინდი 20,1 ცენტნერი და თხილი 14,79 ცენტნერი, თვითეულ დედა-ღორზე შეინარჩუნა 15 გოჭი.

ამ შესანიშნავი წარმატებებისათვის მთავარი საგამოფენო კომიტეტის 1939 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით ორსანტიის კოლმეურნეობა დაჯილდოებულ იქნა პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით.

ამჟამად კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 400-ზე მეტი კომლი, მოსახლეობის 99,5 პროცენტი.

კოლმეურნეობაში უკანასკნელ წლებში ხელი მოჰკიდეს ციტრუსების, ევკალიპტის და სხვა ძვირფასი კულტურების გაშენებას.

კოლმეურნეობამ 1939 წელს წარმატებით შეასრულა ყველა სახელმწიფო დავალება. ამ წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა მიაღწია 2.237.000 მანეთს.

## ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო შვეციის დესპანი ბ-ნი ასარსონი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ა. წ. 20 თებერვალს მიიღო ამას წინათ დანიშნული შვეციის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი პერ ვილჰელმ გუსტავ ასარსონი.

## დამზადებულია 138.998 კილოგრამი თამბაქო

**წითელწყარო**, („კომუნისტის“ კორ.). 1939 წლის მოსავლიდან წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ 136.220 კილოგრამი თამბაქო. 20 თებერვლისათვის ჩაბარებული იყო 138.998 კილოგრამი, გეგმის 102 პროცენტი.

თამბაქოს დამზადება გრძელდება.

**ვ. ტუხაშვილი**

## ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია თბილისში

გუშინ საღამოს დონბასიდან თბილისში ჩამოვიდა ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია ამხ. ვ. ნანიკაშვილის, ა. კობახიძის, თამარ გვენეტაძის, გრ. ჩეკანოვის, ვ. შავგულიძისა და ა. გოგელაშვილის შემადგენლობით. დელეგაციამ ქ. ორჯონიკიძეში (დონბასი) ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ სახელით სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გააფორმა „ორჯონიკიძეუგოლის“ ტრესტთან 1940 წლის ქვანახშირის ამოღების გეგმის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

დღეს დელეგაცია მიემგზავრება ტყიბულში.

## ოპერატიული ცნობა
### ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

22 თებერვლის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

**კარელიის ყელზე** ჩვენმა ნაწილებმა, უკუაქციეს რა მტერი, დაიკავეს 21 გამაგრებული თავდაცვითი პუნქტი, მათ შორის 15 რკინა-ბეტონის საარტილერიო ნაგებობა.

ძლიერი ქარბუქის გამო ავიაციის მოქმედება საზვერავი ფრენით განისაზღვრა.

დღეს, 23 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოწვეულია

**საზეიმო სხდომა,**

მიძღვნილი

**მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XIX წლისთავისადმი**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით, ხოლო დანარჩენნი—მოსაწვევი ბილეთებით, რომლებსაც ანაწილებენ ქ. თბილისის პარტრაიკომები.



კომისარი პოჟარსკი ბრძოლაში — წითელარმ. მ. ვორონინის ნახატი

## დღესასწაულს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით ხვდებიან

**ჭიათურა**, 22 თებერვალი (**საკ. კორ.**). მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავის აღსანიშნავად ვოროშილოვის სახელობის მაღარომ თებერვლის გეგმა 22 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

აღნიშნული მაღარო თებერვალში გეგმაზე ზევით ქვეყანას მისცემს 3.000 ტონა მარგანეცს. სტახანოველები: ალ. ზარქუა, დ. ხვედელიძე, ივ. კუპატაძე, ივ. ხვედელიძე გეგმას 250 პროცენტით ასრულებენ.

**ლ. ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ფრონტზე მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებამინიჭებულნი (ზევიდან—მარცხნიდან მარჯვნივ): კ. ს. სიმონიანი, ი. ი. კოვალი, ი. მ. ულიანოვი, ე. ა. ლუპოვი, ვ. ი. გალახოვი, ვ. ქ. არტიუხი.

# სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

[illegible]

ათასობით გმირები წარმოშვა საბჭოთა ხალხმა თავისი ისტორიის მოკლე მანძილზე...

საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმეებს პარალელებსაც ვერ მოუნახავთ კაცობრიობის ისტორიაში.

აბა ვინ, სად და როდის გვიჩვენა ისეთი გმირობა და ვაჟკაცობა, სამშობლოსათვის თავდადება და რაინდობა, როგორც მზვერავმა წითელარმიელმა ივანე კომაროვმა, მემიზნე არტილერისტმა გრიგოლ ლაპტევმა, შოფერმა ანატოლი კოიდამ, ასეულის პოლიტხელმა ივანე ერშოვმა, წყალქვეშა ნავის მეთაურმა ა. ტრიპოლსკიმ, ექიმმა ვალენტინა ათანასეს-ასულმა პლიუშჩმა და მრავალმა სხვამ.

ისინი ყველანი საბჭოთა კავშირის გმირები არიან. ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი ამშვენებს თვითეული მათგანის გმირულ მკერდს.

O

ივანე კომაროვს დაავალეს დასაზვერავად წასვლა. ღამე იყო და თოვლით დაფარული ტყე და მინდორი რუხად მოსჩანდა ვარსკვლავებიან ცის ქვეშ. კომაროვთან ოთხი წითელარმიელი იყო. ერთი უკან

[illegible]

ერთი ოცეული იმსხვერპლა კომაროვის ხელყუმბარებმა და ამ დროს მას მოესმა ყველაფერზე უფრო ძვირფასი სიტყვები:

— სტალინისათვის, სამშობლოსათვის, ურაა!

— სტალინისათვის, სამშობლოსათვის, წინ, ამხანაგებო! — გადასძახა კომაროვმა თანამებრძოლებს.

მთხრობელიც აღარ წასულა მტრის ურდოსაგან...

საბჭოთა ბატარია ბრძოლაში გადიოდა. პატარა მინდორზე ჩაამწკრივეს ქვემეხები და არტილერისტებმა სადილობა დაიწყეს. მოულოდნელად ასტყდა განგაში.

— ა, ლა, ლა! — მოისმოდა მოახლოებული მტრის ასეულების ველური ღრიალი.

წამსვე მოემზადნენ საბჭოთა არტილერისტები თავდამსხმელთა დასახვედრად. ქვემეხთა სროლა თითქოს აღარ შეიძლებოდა. მტერი რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე იყო მოახლოებული. საბჭოთა არტილერისტები ხიშტით ეკვეთნენ მტრის მოწინავე ჯგუფს. მტრის მეორე ჯგუფმა საბჭოთა ქვემეხისკენ გასწია, მაგრამ იქ იდგა მემიზნე წითელარმიელი გრიგოლ ლაპტევი. ძირს დააწვინა მან შორსმსროლელ ქვემეხს ლულა და გაისროლა. რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე მოახლოებული თეთრფინელთა ბანდა ნაკუწ-ნაკუწ აქცია ყუმბარამ. კიდევ და კიდევ. მარტო დგას ლაპტევი ქვემეხთან და მარტო უსწორდება მტრის ურდოებს. სამასი გვამი დასტოვეს თეთრფინელებმა ერთ მუჭა საბჭოთა არტილერისტებთან ბრძოლაში. შემდეგ გრიგოლ ლაპტევი ამბობდა:

— ვერ ვიტყვი, რამდენი მანერჰაიმელი ბანდიტი გავისტუმრე წინაპრებთან, ანგარიში ამირიეს ამხანაგებმაო...

შოფერი ანატოლი გრიგოლის-ძე კოიდა, წარმოშობით უკრაინელი, პოლკოვნიკმა გაათავისუფლა და უთხრა:

— მანქანა დააყენე, შენ კი წადი და ამაღამ დაიძინე!

ფინელი გლეხის სახლის ერთ ოთახში წითელარმიელები ისვენებდნენ. კოიდაც მათთან მივიდა და წამსვე ჩაეძინა. ნაშუაღამევს ასტყდა განგაში. კოიდა გააღვიძეს და უთხრეს, თავს დაგვესხნენ, ადექიო. როცა კოიდა გამოერკვა და ასანთს გაჰკრა, ნახა, რომ ოთახი დაცარიელებულიყო. იძრო რევოლვერი და გარეთ გავიდა.

— ა, ლა, ლა! — შემოესმა ფინური ძახილი. ორი კაცი უახლოვდებოდა კოიდას. მან მოისაზრა, შებრუნდა სახლში, აანთო სანთელი, თვითონ კი გარეთ გამოვიდა, იცდიდა. ორმა მოახლოებულმა სროლა დაუწყო სინათლიან ოთახს. ორივე იქვე წააქცია კოიდას ტყვიამ. მათ ხელტყვიამფრქვევი ჰქონდათ. კოიდამ მტრის ტყვიამფრქვევი იგდო ხელთ და ჩასაფრდა. ფინელთა ოცეული უახლოვდებოდა მას „ა, ლა, ლას" ყვირილით. ოცეული წამში გაცელა კოიდას ტყვიამფრქვევმა...

კოიდამ გაიხსენა, რომ სახლთან ტრაქტორი იდგა, დაჯდა იგი ტრაქტორზე, მოიდგა ტყვიამფრქვევი და გასწია მტრის ახალი უკვე მოახლოებული ოცეულის გასანადგურებლად. ფინელებს ღამის სიბნელეში ტრაქტორი ტანკად მოეჩვენათ და იკადრეს გაქცევა. შოფერი კოიდა ტრაქტორით დაედევნა მათ ტყვიამფრქვევის სროლით. როცა კოიდას ჩვენი წითელარმიელები წამოეწივნენ ნახეს, რომ გმირ შოფერს სანგრების სამი წყება „გაეწმინდა" ფინელი ბანდიტებისაგან...

O

ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში დიადი საბჭოთა ქვეყნის შვილთა საგმირო ამბებს. ჩვენი ხალხის გმირების განსაცვიფრებელ ვაჟკაცობასა, რაინდობასა, სიმხნევესა და ოსტატობაზეა მოთხრობილი გაზეთებში.

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — გაისმის აღმაფრთოვანებელი ყიჟინა მტერზე შესატევად გადასული მებრძოლებისა.

სამშობლოსათვის, სტალინისათვის... ახალი საგმირო საქმეებისათვის მზად არიან მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტიბი.

**დ. ლომთაძე**

# მშობლების საგზურით...

ამასწინათ ქუჩაში გაზეთი ვიყიდე და სახლში წავიღე; არც კი გადამითვალიერებია გზაში. ნასადილევს, როცა გაზეთის წაკითხვას შევუდექი, წავაწყდი ჩემთვის დაუვიწყარსა და უსაზღვროდ გასახარელ ამბავს. გაზეთში დაბეჭდილი იყო:

„...თეთრფინელებთან ბრძოლის დროს, სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის მთავრობამ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა კაპიტანი ლავრენტი ალექსის-ძე გოლიაძე"...

რამდენჯერმე წავიკითხე ეს ცნობა, ცოლს მივახარე, სახლში ყველას გავაგებინე...

ორდენოსანი ლავრენტი გოლიაძე ჩემი შვილია, უმცროსი ვაჟი. გვესახელება მის მოხუც მშობლებს შვილის დაჯილდოება, გვესახელება და ვამაყობთ, რომ ჩვენც აღვუზარდეთ ქვეყანას თავდადებული შვილი, რომ ჩვენც მივეცით სამშობლოს მებრძოლი პატრიოტი.

ამ სასიხარულო ამბის გაგებისთანავე გავმართეთ საოჯახო თათბირი. დავუძახეთ უფროს ვაჟს — ვასოს, ისიც თადარიგმეთაურია, და გავმართეთ ბჭობა, თუ როგორ გამოგვეთქვა ჩვენი სიხარული, როგორ გადაგვეცა ჩვენი უსაზღვრო მადლობა იმისთვის, ვინც ჩვენ, ყველას, საბჭოთა ადამიანებს, ნამდვილი ადამიანური ცხოვრება შეგვიქმნა, ვისდამი ერთგულების და თავდადების სულისკვეთებითაც ვზრდით ჩვენს შვილებს. გადავწყვიტეთ გაგვეგზავნა წერილი დიდი სტალინისათვის და გვეუწყებინა მისთვის, რომ ჩვენ, ორ მოხუცებულ საბჭოთა მოქალაქეს, კიდევ გვყავს მეორე შვილი და თუ საჭირო გახდა, მასაც დაუყოვნებლივ გავგზავნით ბრძოლის ველზე იმავე საგზურით, როგორითაც გავაცილეთ ჩვენი უმცროსი შვილი — კაპიტანი ლავრენტი გოლიაძე.

როცა ჩვენი, ახლა უკვე ორდენოსანი შვილი, თეთრფინელებთან საბრძოლველად მიდიოდა, მას წერილი მივწერეთ: ბრძოლის ველზე მიდიხარ, — ვწერდით მშობლები, — გამარჯვებულიც გვენახე. ერთს გავალებთ მოხუცი მშობლები — სავაჟკაცო ბდღვილას ვაჟკაცობა გამოიჩინე და ჩვენს ჭაღარას ნუ შეარცხვენ. არ დაზოგო მტერი, არ დაინდო იგი, მოსპე და გაანადგურე ჩვენი სამშობლოს მტრები. თუ დაიღუპო, მტკიცედ გწამდეს — შენს ადგილს შენი ძმა დაიჭერს.

ასეთი იყო ჩვენი საგზური, ასეთი დავალება მივეცით ბრძოლაში წასულ შვილს.

**მაშო და ალექსი გოლიაძეები**



საბჭოთა კავშირის გმირები (ზევიდან — მარცხნიდან მარჯვნივ): ნ. გ. სარანჩევი და ი. მ. სოლომონიკოვი, სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებულნი: ე. ი. ლიაზო, ა. პ. ბეზუკლადნიკოვი, გ. მ. ეფიმოვი, ი. ი. საპრიკინი.

## უთხარ ქვეყანას დიდება

წადი. აღარ ხარ პატარა!
ერთი გახსოვდეს მხოლოდ:
დედამ სიმწარით გატარა,
არ აეკიდო ბოროტს.
გამოგყვა მკლავი მაგარი,
შეგერგო დედის ნანა!
სამშობლოს დუშმანს დაჰკარი,
ვით გიანდერძა მამამ.
ისიც ქვეყნისთვის დაეცა,
ბრძოლა იცოდა რისხვით...
დუშმანს აართვი ასკეცად
მამის სპეტაკი სისხლი.
დაჰკარი, გული გაუპე,
გქონდეს არწივის ხედვა!
შენი ვაჟობის აუგი
არ გაეგონოს დედას.
ნუ გაგყვეს მძიმე ფიქრები, —
არ გავაცრევებ ნაცარს...
და თუ საჭირო ვიქნები,
შევძლებ სამშობლოს დაცვას.
თუ მტერი მოგვეძალება,
სისხლის საღვრელად მოვა,
ნახოს: ქართველმა ქალებმა
როგორ იციან ბრძოლა.
წადი. თან გაგეკიდება
დედის გული და თვალი.
უთხარ ქვეყანას დიდება
და მის მესაჭეს სტალინს!!

**მარიკა ბარათაშვილი**

## ფინეთის ფრონტზე

წყნარი დილაა. მოსჩანან
ფინეთის მიდამოები,
უძრავად დგანან ფიჭვები,
თოვლით მოსილი რტოებით.
ასე გგონია, რომ ბრძოლა
შეწყვეტილია დროებით;
წითლების ტანკი დაიძრა,
წინ მიდის განმარტოებით.

ბუნების წინაღმდეგობა
შეტევას ჰგავდა მტრისასა,
რა გასტეხს გაუტეხელსა
რკინასა ფოლადისასა?
ვინ შეაჩერებს ტალღასა
აღელვებული ზღვისასა? —
სინათლეს ვერვინ დაჩრდილავს
ქვეყნად მოფენილს მზისასა.

წითელ ჯარს ვინ შეაჩერებს,
ბრძოლაში გამოწრთობილსა,
კეთილისათვის მებრძოლსა
მშრომელი ხალხის შობილსა.

უეცრად ტყიდან გამოჩნდა
ფინეთის თეთრი ჯარები,
ბრძოლა გაჩაღდა, გრგვინვაა,
ცის ჭექის შესადარები.
გაისმის ტყვიის ზუზუნი,
ტრიალებს ხელყუმბარები.
— წითლებო, — ისმის ძახილი—
ნურც სიკვდილს დავეზარებით!

მტერი შეძრწუნდა შიშისგან,
შეშლილსა ჰგავდა ჭკვაზედა,
ბრძოლა მინელდა, წითლებმა
დასძახეს ზარის ხმაზედა:
— „ვიცით, რომ ბრძოლის
შემდეგ
მზე გამოკრთება ცაზედა
და თავის სხივსა უმანკოს
აათამაშებს ნამზედა".

**მიხეილ ჭინჭარაული**

სოფ. ბარისახო (დუშეთის რაიონი).



ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები (მარცხნიდან): პ. მიხალოჩკინი, ლ. ჩეკუნსკი, ე. ხვარტუშნი, ი. დუბოკი, გ. ბუროვი და ა. არტემიევი მეცადინეობაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

პოლკოვნიკი ნ. გუშმანოვი

# წითელი არმია ლენინ-სტალინის პირმშოა

1918 წლის 28 იანვარს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა ისტორიულ დეკრეტს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ. 14 თებერვალს გამოქვეყნდა სახკომსაბჭოს დადგენილება სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის ორგანიზაციის შესახებ.

„წითელი არმიის შექმნის საკითხი სრულიად ახალი იყო, იგი სრულებით არ დასმულა თეორიულადაც კი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი პარტიის VIII ყრილობაზე.—...ჩვენ მთელ რიგ შემთხვევებში ბნელში უნდა გვევლო"[1]).

ანვითარებენ რა გაცხოველებულ მოღვაწეობას წითელი არმიის შექმნისათვის, ლენინი და სტალინი იღებენ გადაწყვეტილებას ჯერჯერობით თავი აარიდონ მტრის უფრო ძლიერ ძალებთან შეტაკებას, მოიგონ შესვენება ჩვენი მძლავრი რეგულარული არმიის შექმნისათვის. ხალხის უბოროტესი მტერი ტროცკი შენიღბვითა და გამცემლობით, პროვოკაციულად აწყობს ომს გერმანიასთან. ხალხის მტრებს გერმანიის იმპერიალისტების ხელით უნდოდათ დაეხრჩოთ საბჭოთა რესპუბლიკა.

23 თებერვალს გამოქვეყნებულ იქნა სახკომსაბჭოს მოწოდება მშრომელთადმი მიმართვით — შესულიყვნენ წითელი არმიის რიგებში. ლენინგრადის, მოსკოვისა და საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ქალაქების ათიათასობით პროლეტარები მიდიან თავიანთი სამშობლოს დასაცავად. 23 თებერვალი ხდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყოველწლიურ ტრადიციულ დღესასწაულად, რომლისთვისაც უდიდესი სიხარულით ემზადება დღეს მთელი საბჭოთა ხალხი.

ორგანიზაციის პირველ პერიოდში წითელი არმიის დაკომპლექტება ხდებოდა მოხალისეებით.

უკვე 1918 წლის 10 აპრილისათვის წითელი არმია თავის რიგებში ითვლიდა 198.670 კაცს, ხოლო ერთი თვის შემდეგ — 306.060 კაცს.

ბოლშევიკების პარტიამ წითელი არმიის ნაწილების ხელმძღვანელობისათვის დააწინაურა თავისი საუკეთესო შვილები — ფრუნზე, ვოროშილოვი, ბუდიონი, შჩადენკო, მუშა-წითელგვარდიელების წრიდან აღზარდა ისეთი შესანიშნავი გმირები, როგორიც იყვნენ ჩაპაევი, შჩორსი, პარხომენკო, კოტოვსკი, ლაზო და მრავალი სხვა. რიგითი მებრძოლებიდან და უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან მეთაურთა შემადგენლობის დაწინაურებასთან ერთად წითელ არმიაში სამუშაოდ მიზიდულ იქნენ ძველი არმიის სამხედრო სპეციალისტები.

მეთაურთა კადრების აღზრდაში დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკური პარტიის მიერ შექმნილმა წითელი მეთაურების კურსებმა, სამხედრო სკოლებმა და აკადემიებმა.

ლენინი ამბობდა: „სამხედრო კომისრები რომ არ გვყოლოდა, არც წითელი არმია გვეყოლებოდა". წითელი არმიის პარტიულ-პოლიტიკური აპარატი წარმოადგენს მისი საბრძოლო ძლიერების ურყევ საფუძველს.

თავისი არსებობის პირველი ნაბიჯებიდანვე წითელ არმიას მოუხდა მედგარი ბრძოლის წარმოება ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. 1918 წლის გაზაფხულზე ინტერვენტებმა გადმოსხეს ჯარი ვლადივოსტოკში, არხანგელსკში, ოდესაში, ნიკოლაევში, ამიერკავკასიასა და თურქესტანში. უკრაინაზე და ბელორუსიაზე გამოილაშქრეს უცხოელი იმპერიალისტების არმიებმა, რომლებიც ეხმარებოდნენ გამცემლებს უკრაინის ცენტრალური რადიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვოლგაზე და ციმბირის მთელი რკინიგზის გასწვრივ საბჭოების წინააღმდეგ აჯანყდა ჩეხოსლოვაკთა კორპუსი.

საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით იქმნება თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციური ძალები: ურალზე — ატამანი დუტოვი, ვოლგაზე —თეთრგვარდიელთა „სახალხო არმია", აღმოსავლეთით — უფის დირექტორიის და ციმბირის დროებითი მთავრობის არმია, დონზე — ატამანი კრასნოვი და ყუბანზე — გენერალი დენიკინი. 1918 წლის ზაფხულისათვის საბჭოთა რესპუბლიკას შემორტყმული ჰქონდა ფრონტების ცეცხლოვანი რკალი.

შეაფასა რა მდგომარეობის სერიოზულობა, საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის 29 მაისს გამოიტანა გადაწყვეტილება წითელი არმიის დაკომპლექტების ნებაყოფლობითი პრინციპიდან მუშებისა და ღარიბესი გლეხების საყოველთაო მობილიზაციაზე გადასვლის შესახებ. ლენინ-სტალინის პარტიამ შემოიღო პარტიის წევრთა საყოველთაო სამხედრო სწავლება და თავის საუკეთესო შვილებს ჰგზავნიდა არმიაში. 1918 წლის ზაფხულში დაიწყო თავისი სამხედრო მუშაობა ამხანაგმა სტალინმა. მან მოაწყო თეთრგვარდიელთა განადგურება ცარიცინის რაიონში. პარტიამ განამტკიცა წითელი არმია. ცალკეული პოლკები და რაზმები ერთდებიან დივიზიებად, არმიებად და ფრონტებად.

1918 წლის შემოდგომისათვის წითელი არმიის ორგანიზაცია ძირითადად დამთავრებული იყო.

30 ნოემბერს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ შეჰქმნეს მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო ლენინის მეთაურობით. საბჭოს შემადგენლობაში შევიდა ამხანაგი სტალინი.

სულ უფრო და უფრო ჩაღდებოდა სამოქალაქო ომი. იმპერიალისტები ჰქმნიდნენ, აიარაღებდნენ და საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ჰგზავნიდნენ თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების მრავალათასიან არმიებს. 1918 წლის ოქტომბერში ვ. ი. ლენინი სრულიად-საკავშირო ცაკის სხდომისადმი მიწერილ წერილში მიუთითებდა: „იქმნება არმია, მუშათა და ღარიბ გლეხთა წითელი არმია, რომლებიც მზად არიან გაიღონ ყოველგვარი მსხვერპლი სოციალიზმის დასაცავად. არმია მტკიცდება და იწრთობა ჩეხოსლოვაკელ თეთრგვარდიელებთან ბრძოლებში. საძირკველი მტკიცედ არის ჩაყრილი, უნდა დავაჩქაროთ თვით შენობის აგება.

ჩვენ გადავწყვიტეთ გაზაფხულისათვის ვიყოლიოთ 1.000.000 კაცისაგან შემდგარი არმია, ახლა ჩვენ გვჭირდება სამი მილიონი კაცისაგან შემდგარი არმია. ჩვენ შეგვიძლია გვყავდეს ასეთი არმია. და გვეყოლება კიდეც"[2]).

ბელადის მითითება სწრაფად და მთლიანად ტარდება ცხოვრებაში. ლენინურ-სტალინური ნაცადი ხელმძღვანელობით წითელი არმია ანადგურებს კრასნოვის თეთრყაზახთა არმიას ცარიცინთან, კოლჩაკელებს აღმოსავლეთის ფრონტზე. ლიკვიდაცია უყო რა აღმოსავლეთის ფრონტზე არსებულ კატასტროფულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ტროცკისა და მისი დამქაშების გამცემლური საქმიანობის შედეგად არმიისა და ფრონტის მმართველობაში, ამხანაგმა სტალინმა წითელ არმიას მისცა ოპერატიული ხელოვნების კლასიკური პრინციპები, რომლებიც წითელი არმიის ოქროს ფონდს შეადგენენ. პერმის კატასტროფის მიზეზების გამოკვლევის და ამ კატასტროფის ლიკვიდაციის დროს, ამხანაგმა სტალინმა გამოამჟღავნა და მოსპო ხალხის მტრების ცდები დაენაგვიანებინათ წითელი არმია და მისი ზურგი უცხო და მტრული ელემენტებით.

აჯამებდა რა წითელი არმიის გმირული მშენებლობის გამოცდილებას, პარტიის VIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წითელ არმიას, როგორც პროლეტარული დიქტატურის იარაღს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს აშკარა კლასობრივი ხასიათი, ესე-იგი ჩამოყალიბდეს მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის ნახევრადპროლეტარული ფენებისაგან.

1919 წლის გაზაფხულისათვის ანტანტის იმპერიალისტებმა მოაწყეს პირველი ლაშქრობა საბჭოთა რესპუბლიკაზე. მთავარი დარტყმა უნდა მოეხდინა ადმირალ კოლჩაკს. დამხმარე დარტყმას პეტროგრადზე მოახდენდა იუდენიჩი. დენიკინი უტევდა სამხრეთიდან, პოლონელებს კი უნდა შემოეტიათ დასავლეთიდან. ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ ინტერვენტები და რუსი თეთრგვარდიელები. თეთრგვარდიელთა მთელი ხროვა და უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა გაჰყვიროდნენ საბჭოთა ხელისუფლების მოახლოებული დაღუპვის შესახებ.

ლენინ-სტალინის პარტიამ ფეხზე დააყენა მთელი საბჭოთა ხალხი სამშობლოს დასაცავად, გაგზავნა ათიათასობით თავისი წევრები წითელ არმიაში. ლენინისა და სტალინის და მათი ერთგული თანამებრძოლების — პროლეტარული მხედართმთავრების ფრუნზეს და ვოროშილოვის უშუალო ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ მოიგერია ანტანტის პირველი ლაშქრობა, გაანადგურა კოლჩაკი და იუდენიჩი.

1919 წლის ზაფხულში ანტანტა შეუდგა ახალი, მეორე ლაშქრობის ორგანიზაციას და შემოდგომისათვის კვლავ გამოგზავნა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ თეთრგვარდიელთა უზარმაზარი ურდოები. ახლა მთავარი დარტყმა დენიკინს უნდა მოეხდინა. პარტიამ დენიკინის განადგურების მოწყობა დაავალა ამხანაგ სტალინს. ამხანაგმა სტალინმა უარჰყო ტროცკის გამცემლური გეგმა და შეჰქმნა დენიკინის განადგურების თავისი გენიალური გეგმა. ამ გეგმის განხორციელებისათვის ძალების დარაზმვის დროს ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წითელ ცხენოსან ჯარს. მან პირველმა მაღალი შეფასება მისცა ცხენოსანი მასების როლს სამოქალაქო ომში და შეჰქმნა პირველი ცხენოსანი არმია. არმიის სარდლად დანიშნულ იქნა ს. მ. ბუდიონი, არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრებად — ამხანაგები ვოროშილოვი და შჩადენკო.

ლეგენდარულმა პირველმა ცხენოსანმა არმიამ უკვდავი სახელი მოიხვეჭა სამოქალაქო ომის ველებზე. ფრონტის სხვა არმიებთან ურთიერთმოქმედებით ცხენოსანმა არმიამ გაანადგურა დენიკინის ურდოები. პეტროგრადთან წითელმა არმიამ მეორედ დაამარცხა იუდენიჩის არმია, აღმოსავლეთის ფრონტზე სწარმოებდა კოლჩაკოვშჩინის სწრაფი ლიკვიდაცია.

1920 წლის დასაწყისი აღინიშნა წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით და კვლავ მოპოვებული შესვენებით.

პარტიამ გამოიყენა შესვენება და გააჩაღა უდიდესი მუშაობა მეურნეობის აღსადგენად. წითელი არმიის ძალების ნაწილი გადაყვანილ იქნა შრომითი ფრონტზე. ბოლშევიკების პარტიის IX ყრილობამ, რომელიც 29 მარტს შეიკრიბა, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი გამოიტანა ომის საკითხზე. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა სამეურნეო ამოცანების შეფარდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცების ამოცანებთან. მაგრამ შესვენება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ანტანტამ დაიწყო ახალი, მესამე სისხლისმღვრელი ლაშქრობა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მან შეაიარაღა თეთრი პანების პოლონეთისა და ვრანგელის ჯარები.

პარტია მთელ ყურადღებას ფრონტს უთმობს და აწყობს ანტანტის მესამე ლაშქრობის განადგურებას. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამანადგურებელ ლახვარს სცემენ თეთრპოლონელებს უკრაინაში. თეთრპოლონელების ფრონტის გარღვევამ პირველი ცხენოსანი არმიის მიერ და რეიდმა პოლონეთის არმიების ზურგში შეარყია პოლონეთის მთელი ფრონტი და მან დაიხია ვარშავასა და ლვოვამდე. თეთრპოლონელები მაშინ საბოლოო განადგურებისაგან იხსნა მხოლოდ ანტანტის ფართო დახმარებამ და იუდა ტროცკის გამცემლურმა დირექტივებმა.

აწყობს რა ვრანგელის განადგურებას, ამხანაგი სტალინი ჰქმნის მეორე ცხენოსან არმიას და იმ დროის კვალობაზე დიდ ავიაშენაერთს, რომელიც პირველი იყო სამოქალაქო ომის დროს. სამხრეთის ფრონტის წითელმა არმიებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ნიჭიერი პროლეტარული მხედართმთავარი მ. ვ. ფრუნზე, ამხანაგ სტალინის ოპერატიული გეგმის იდეის შესრულებით გაანადგურეს შავი ბარონის ვრანგელის ჯარები ჩრდილოეთ ტავრიაში, იერიშით აიღეს თეთრების სიმაგრეები პერეკოპისა და ჩონგარის ყელზე და ამით უჩვენეს მთელ მსოფლიოს, თუ რა ძლიერი გახდა წითელი არმია, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს.

დამთავრდა სამოქალაქო ომი. წითელი არმია მშვიდობიან მდგომარეობაზე გადადის. მაგრამ კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკისათვის. ვ. ი. ლენინი აფრთხილებს პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს: „... მოვკიდეთ რა ხელი ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენ მთელ ძალღონეს ვიხმართ, რომ განუწყვეტლივ განვაგრძოთ იგი. ამავე დროს, ამხანაგებო, იყავით ფხიზლად, თვალისჩინივით გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი წითელი არმიის თავდაცვისუნარიანობას..."[3]).

დადგა ახალ პირობებში არმიის გაუმჯობესების და რეორგანიზაციის პერიოდი. ხალხის უბოროტესი მტერი ტროცკი ყოველნაირად აფერხებს არმიის განვითარებას. პარ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

[1]) ლენინი, თხზ., ტ. XXIV, გვ. 121.

[2]) ლენინი, თხზ., ტ. XXIII, გვ. 217.

[3]) ლენინი, თხზ., ტ. XXVII, გვ. 120.





## პროვოკაციები გაზეთ — „დეილი უორკერის" კორესპონდენტებისათვის ინგლისის მთავრობის მიერ ვიზის მიუცემლობის წინააღმდეგ

[illegible]

## შვედი „მოხალისეების" გაგზავნა თეთრ ფინეთში

[illegible]

## როგორ აგროვებენ ფულს მანერჰეიმისათვის?

[illegible]

## შეთქმულების აღმოჩენა მექსიკაში

[illegible]

## ომი ზღვაზე

[illegible]

ბერლინი, 21 თებერვალი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ, ინგლისისა და შოტლანდიის სანაპიროზე და შეტლანდის კუნძულებზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის შედეგად, ჩაი- [illegible]

[illegible] კარგეს 1.059.766 ტონა წყალწყვის გემები. გერმანელთა ცნობებით, ომის დასაწყისიდან დაღუპული გემების ტონაჟი 1,5 მილიონ ტონას შეადგენს.

## ჩემბერლენის განცხადება

[illegible]

## ომის საწინააღმდეგო მოძრაობა ინგლისში

[illegible]

## ინგლისის პარლამენტის უფლებათა შეზღუდვა

[illegible]

## რუზველტის განცხადება

[illegible]

## ნერუს განცხადება

[illegible] განაცხადა: „მოჩვენებითი თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ინდოეთი ან მთლად თავისუფალია, ან იგი თავისუფალი არ არის. ჩვენს პოზიციებს ოდნავაც არ დავთმობთ. [illegible] რევოლუცია საჭიროდ მიგვაჩნია მისთვის. როცა კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ თავისუფლების უფლება გვაქვს, ამას ჩვენ იმისათვის კი არა ვშვრებით, რომ რაიმე სასიამოვნო ვუთხრათ ზეტლენდს, ან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოვახდინოთ ინგლისში. უნდა ვემზადოთ ბრძოლისათვის. ეს მზადება მდგომარეობს არა ლოზუნგების წამოძახებაში, არამედ იმაში, რომ ბრძოლისათვის გავწვრთნათ მამაც ადამიანთა არმია, ისეთ ადამიანთა არმია, რომლებიც მზად იქნებიან აიტანონ ყოველგვარი სიძნელე".



კადრი ლენინგრადის კინოსტუდიის ფილმიდან „ჩაპაევი".

### ივ. შაიშმელაშვილი

## მხედარ-მეგობარს

მე და შენ ერთი დედა გვივლიდა
ულამაზესი, ნაზი და მშვიდი,
მზე მის უბიდან ამოგვივიდა,
არ მოგვაკარა მწუხრი და ბინდი, —
ბრძანებს — გადავლთ მტერზე გრგვინვითა,
ოღონდ ლაღობდეს მშობელი დიდი!

მე და შენ ახლაც იგი დაგვნათის,
ვაჟკაცობის და აზრის მომცემი,
მხარში ვუდგევართ ძმები ტანადი,—
მისი ნაწრთობი მახვილი გვშვენის, —
ბრძანებს — მტერს დავკრათ გულში ტარამდი,
რათა ხარობდეს მშობელი ჩვენი!

მე ვხედავ, მესმის, ჩემს მოსალხენად
შენს საამებლად დედა-მზრუნველი
როგორ გმირულად და სასახელოდ
იბრძვის, ტრიალებს თვალჩაუხრელი,—
გვიბრძანებს—მოვსპოთ მტერი თავხედი, —
ჰყვაოდეს დედა-სამშობლო ვრცელი!

## ერთმოქმედებიან პიესაზე გამოცხადებული სრულიად-საკავშირო კონკურსის შედეგები

დამთავრდა თვითმოქმედი თეატრისათვის ერთმოქმედებიანი პიესის დაწერაზე გამოცხადებული სრულიად - საკავშირო კონკურსი, რომელსაც ატარებდნენ გამომცემლობა „ისკუსტვო", ხალხური შემოქმედების კრუპსკაიას სახელობის სრულიად-საკავშირო სახლი და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მხატვრული თვითმოქმედების ცენტრალური სახლი. კონკურსმა ცხადჰყო დრამატურგთა ახალგაზრდა კადრების დიდი ზრდა. სულ შემოვიდა 5.363 პიესა, რომლებიც დაწერილია სსრ კავშირის ხალხთა 30 ენაზე. პიესები დაწერილია სხვადასხვა ჟანრით და სხვადასხვა თემაზე.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი შედიოდნენ, საუკეთესო პიესებს 11 პრემია მიუსაჯა. ორი პირველი, თვითეული 15.000-მანეთიანი პრემია მიესაჯა **ნ. ა. კოლესნიკოვს** (მოსკოვის ოლქი, სადგური მამონტოვკა) პიესისათვის „ოქროს ხელები" და **ბ. ვ. ფაიანსს** (მოსკოვი) პიესისათვის „პერიფერია". ორი მეორე თვითეული 10.000-მანეთიანი პრემია მიესაჯა **გ. მ. სტაბავოის** (მოსკოვი) პიესისათვის „სადგური ზლოტუვიშკი" და **ა. ა. ვალევსკის** (ლენინგრადი) პიესისათვის „ბრილიანტიანი ბეჭედი". სამი მესამე თვითეული 7.000-მანეთიანი პრემია მიესაჯა **მ. ი. გერშენზონს** (კიევი) პიესისათვის „დირექტორი" ებრაულ ენაზე, **ი. იოფეს** (მოსკოვი) პიესისათვის „ნაღმი" და **ე. ბ. მარლინგს** (მოსკოვი) პიესისათვის „რატომ მას?". ოთხი მეოთხე, თვითეული 5.000-მანეთიანი პრემია მიესაჯა **ა. ბ. კოცოევს** (ქ. ორჯონიკიძე) პიესისათვის „გიგოს სააღდგომო დღესასწაული" ოსურ ენაზე, **ი. ვ. ბოლოტოვს** (კრატოვო, მოსკოვის ოლქი) პიესისათვის „ქარბუქი", **საიდ-მურადოვს** (ქ. სტალინაბადი) პიესისათვის „სამოთხის ვირი" (ტაჯიკურ ენაზე), **ე. და ს. შატროვებს** (მოსკოვი) პიესისათვის „სამიკიტნო რუმინეთის საზღვარზე".

ვინაიდან წახალისების ღირსი პიესები კონკურსის პირობებით გათვალისწინებულ წამხალისებელ გასამრჯელოთა რიცხვზე უფრო მეტი აღმოჩნდა, ჟიურიმ საჭიროდ სცნო ამ გასამრჯელოთა რაოდენობის გადიდება. გადაწყდა, რომ წამხალისებელი 2.000-მანეთიანი გასამრჯელო მიეცეს 12 პიესის ავტორს.

გამომცემლობა „ისკუსტვო" დაჯილდოებულ პიესებს ცალკეულ გამოცემებად და კრებულებად გამოუშვებს. (საკდესი).

## ფ. შოპენის ნაწარმოებთა და წერილთა დედნები

**ლვოვი**, 21 თებერვალი (საკდესი). ხვალ 130 წელი სრულდება გამოჩენილი კომპოზიტორის ფ. შოპენის დაბადებიდან.

ლვოვის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი და კონსერვატორია მართავენ კონსერვატორიის მასწავლებელთა და სტუდენტთა, აგრეთვე მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეთა დიდ შემოქმედებით საღამოს.

ქალაქის ყოფილ კერძო მუზეუმებში აღმოჩენილია შოპენის ნაწარმოებთა და წერილთა საინტერესო დედნები. ცნობილი პიანისტი ქალი, 75 წლის კორნელია დავითის-ასული პარნასოვა 50 წელზე მეტ ხანს აგროვებდა დოკუმენტებს შოპენის შესახებ. კარგად არის შენახული დედანი მისი წერილისა ერთერთი მეგობრისადმი. აღმოჩენილ დოკუმენტებს შორის არის: შოპენის ავტოგრაფი, რომელიც მან გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე აჩუქა კომპოზიტორს ტრუანოვსკის, მაზურკის ნოტების დედანი და სხვ.

ადგილობრივ მუზეუმებშიაც აღმოჩენილია მთელი რიგი ახალი საინტერესო დოკუმენტები, მათ შორის შოპენის აკვარელით შესრულებული პორტრეტის დედანი (1835 წელი).

## აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო

23 თებერვალს მწერალთა სასახლის კლუბში საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა კურს-კონფერენციის მონაწილეთათვის ეწყობა აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებით აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვა ამხ. ლ. ასათიანი.

პოეტები და მწერლები: ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. ზურაბიშვილი და ა. აბაშიძე ახალგაზრდა მწერლებს გაუზიარებენ თავიანთ მოგონებებს აკაკი წერეთლის შესახებ. ახალგაზრდა მწერლები წაიკითხავენ აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ნაწარმოებს.

დასასრულ გაიმართება კონცერტი.

## ყალმუხური საგმირო ეპოსის „ჯანგარის" 500 წლისთავისათვის

საქართველოს მწერლები ემზადებიან ყალმუხური საგმირო ეპოსის „ჯანგარის" 500 წლისთავის დღესასწაულისათვის.

პოეტები და მწერლები—კ. კალაძე, რ. გვეტაძე, ა. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, კ. ჭიჭინაძე და გრ. აბაშიძე ქართულად სთარგმნიან „ჯანგარის" ერთერთ თორმეტთაგანს ლექსს—„გიურგს". ამ ლექსს, რომელიც 2.700 სტრიქონს შეიცავს, საიუბილეო დღეებისათვის ცალკე წიგნად გამოუშვებს გამომცემლობა „ფედერაცია".

საიუბილეო ზეიმზე ქალ. ელისტას გაემგზავრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაცია. (საკდესი).

## ლევენფიშ - ალატორცევი

**მოსკოვი.** სსრ კავშირის გროსმაისტერის სახელწოდებაზე ლევენფიშსა და ალატორცევს შორის მოსკოვში მიმდინარე საჭადრაკო მატჩიდან გათამაშებულია 4 პარტია. 21 თებერვალს უნდა დამთავრებულიყო მატჩის მესამე პარტია. მოწინააღმდეგენი თამაშის განუახლებლად ყაიმს დასთანხმდნენ.

ამგვარად, ახლა მატჩის ანგარიშია—2:2.

## რაიკომის პლენუმები

1940 წ. 23 თებერვალს, დღის 4 საათზე, რაიკომის შენობაში (საბჭოს ქ. № 122) შესდგება **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის VI პლენუმი.**

რაიკომის პლენუმის წევრებისა და წევრობის კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ა. წ. 25 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პლენუმი.**

რაიკომის პლენუმის წევრებისა და წევრობის კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთები — № 3301492, გაცემული შალვა მაქსიმეს-ძე ჯვებენავას სახელზე, და № 2862275, გაცემული მელიტონ ალექსის-ძე მონიავას სახელზე, აგრეთვე საკანდიდატო ბარათი № 1652461, გაცემული ლუბა ლევანისასულ ხუხუას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**25 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში** შესდგება ლექცია რუსულ ენაზე; ლექციის თემა—„ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ".

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** **რუსთაველის** სახელობის — „გუშინდელნი" (ტალ. № 122), **მარჯანიშვილის** სახელობის — „მათი ამბავი", **სახესტრადა** — სახესტრადის ვოკალური ანსამბლი კომპოზიტორ ვ. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით და დასავლეთ საქართველოს სიმღერების და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი ორდენოსან კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

**კინოებში:** **რუსთაველის** სახ. — „მთავრობის წევრი", **ოქტომბერი** — „მამაცობა", **დამკვრელი** — „მეოთხე პერისკოპი", **კომკავშირელი** — „პირადი საქმე", **სპარტაკი** — „საზღვარზე", **ლუქსემბურგის** სახ. — „პატრიოტი", **26 კომ.** სახ. — „მეოთხე პერისკოპი", **კომინტერნი** — „ამანგელდი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

## წითელი არმია ლენინ-სტალინის პირმშოა

### (დასასრული)

ტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოხსნა ტროცკი სამხედრო მუშაობიდან, მიიღო გადაწყვეტილება წითელი არმიის განსამტკიცებლად, შეიარაღებულ ძალთა სათავეში დააყენა მ. ვ. ფრუნზე და კ. ე. ვოროშილოვი. რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ მ. ვ. ფრუნზეს, ხოლო საბჭოს წევრად კ. ე. ვოროშილოვის დანიშვნასთან ერთად დაიწყო სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ძირეული რეორგანიზაცია.

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი. მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა და მეგობარმა ი. ბ. სტალინმა პარტიის და ხალხის სახელით დასდო დიდი ფიცი, რომ ბოლომდე შევასრულებთ ბელადისა და მასწავლებლის ანდერძს: „ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა ჩვენ, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა... მაშ ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი".

ამხანაგი სტალინი დაუღალავად მუშაობს ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა განმტკიცებისათვის. მისი ხელმძღვანელობით წითელი არმია განმტკიცდა ორგანიზაციულად. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ „საბჭოთა კავშირი სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან გადაიქცა თავდაცვისუნარიის მხრივ მძლავრ ქვეყნად, ქვეყნად, რომელიც მზად არის ყოველი შემთხვევისათვის, ქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაამზადოს მასობრივი მასშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი და მოამარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის შემთხვევაში" [4].

სტალინური ხუთწლედების შესრულების შედეგად წითელმა არმიამ მიიღო ახალი, მსოფლიოში საუკეთესო საბრძოლო ტექნიკა.

აჯამებს რა წითელი არმიის საბრძოლო გამოცდილებას, ამხანაგი სტალინი აიარაღებს მას სამხედრო ხელოვნების ყველაზე მოწინავე თეორიით. მოძღვრება არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, მოძღვრება ზურგის შესახებ, მმართველობის შესახებ, შეტევის კანონების შესახებ საბჭოთა ხალხის მძლავრი არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის ქვაკუთხედებს წარმოადგენენ.

წითელი არმიის მსოფლიოში საუკეთესო საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებასთან ერთად ამხანაგმა სტალინმა დასახა ამოცანა არმიისათვის ბოლშევიკური კადრების მომზადებისა, რომლებიც სავსებით დაუფლებული იქნებიან ტექნიკას.

ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა წითელი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საუცხოო კადრები, რომლებიც სავსებით დაუფლებული არიან საბრძოლო ტექნიკას, არიან კულტურულნი, პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგულნი.

მეორე იმპერიალისტური ომის გაჩაღებასთან და ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურების უშუალო საფრთხესთან ერთად მომწიფდა წითელი არმიის ორგანიზაციული გარდაქმნის საჭიროება. ამხანაგ სტალინის ინიციატივით მთელი წითელი არმია გადადის საკადრო სისტემაზე. გრძელდება მებრძოლი სპეციალისტების სამსახურის ვადები, რომ ისინი უფრო სრულყოფილად დაეუფლონ რთულ საბრძოლო ტექნიკას. სკოლებში შემოღებულია დაწყებითი სამხედრო სწავლება. ახალი კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ საფუძველს უყრის ახალ ეტაპს წითელი არმიის განვითარებაში.

ჩვენს ქვეყანაში არმია და ხალხი ერთი მონოლიტური მთლიანობაა. წითელი არმია ხალხის საუკეთესო ნაწილია. მისი საყვარელი პირმშო. წითელი არმიის გმირები მთელი ხალხის გმირებია. წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებას ყოველთვის თან სდევს მთელი ხალხის უდიდესი საბრძოლო აღმავლობა. ეს უზრუნველჰყოფს წითელი არმიისათვის უმტკიცეს ზურგს, ხდის მას ურყევ ძალად. წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი —„ეს არის მხოლოდ მოწინავე რაზმები, ავანპოსტები ჩვენი ურიცხვი არმიისა, რომელსაც ეწოდება **დიადი საბჭოთა ხალხი.** ასეთი არმია იყო, არის და მარად იქნება უძლეველი" (ვოროშილოვი).

თავისი არსებობის ოცდაორი წელი წითელმა არმიამ აღნიშნა ბრწყინვალე გამარჯვებებით მტრებთან საბრძოლო შეტაკებებში. იგი დაეხმარა ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას გაენადგურებინა იაპონელი დამპყრობლები მდინარე ხალხინ-გოლთან. ხასანის შემდეგ ეს იყო მეორე საგნობრივი გაკვეთილი ბაქია სამურაებისათვის.

1939 წლის სექტემბერში, ასრულებდა რა საბჭოთა ხალხის ნებასურვილს, წითელმა არმიამ ტრიუმფალური მარშით გაიარა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მინდვრები და ტყეები, სამუდამოდ გაათავისუფლა ჩვენი თვისტომი ძმები პოლონელი პანების მიერ ჩაგვრისა და ძალადობისაგან.

მასობრივი გმირობის და მაღალი ბრძოლისუნარიანობის შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებენ ახლა წითელი არმიის ჯარები, რომლებიც ფინეთის მშრომელ ხალხს ეხმარებიან ომის გამჩაღებელთა პირსისხლიანი ბანდის, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ლაქიების, მანერჰაიმკაიანდერის ულლის დამხობაში. თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლებში იბადებიან საბჭოთა ხალხის ასობით ახალი გმირები, კვლავ და კვლავ იმოსებიან დიდებით წითელი არმიის საბრძოლო დროშები.

დიადი საბჭოთა კავშირის ხალხები ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას და არცერთი წუთით არ ივიწყებენ კაპიტალისტურ გარემოცვას, იმას, რომ საჭიროა ყოველ დღიურად ავამაღლოთ ჩვენი მობილიზაციური მზადყოფნა კომუნიზმის საქმისათვის საბრძოლველად.

ლენინ-სტალინის დროშით, საყვარელი სტალინის სახელით გულში წითელი არმია გაანადგურებს ყოველგვარ მტერს, რომელიც გაბედავს დაესხას თავს მთელი პროგრესიული კაცობრიობის სამშობლოს—სსრ კავშირს.

[4]) სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გამ. მე-10, გვ. 580.

## იაპონიის პარლამენტის სესიაზე

**ტოკიო,** 21 თებერვალი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დღეს შესდგა იაპონიის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის პლენარული სხდომა, რომელმაც მოიწონა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი 10 მილიარდი იენის რაოდენობით.

ა. წ. 26 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიხსნება

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის პარტორგანიზაციის XXII კონფერენცია**

დღის წესრიგი:

1. რაიკომის ანგარიში (მომხ. ამხ. სიხარულიძე).
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხ. ამხ. ჯანყარაშვილი).
3. რაიკომის, სარევიზიო კომისიისა და თბილისის საქალაქო პარტკონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

რაიპარტკონფერენციის დელეგატებისათვის მანდატების გაცემა სწარმოებს რაიკომში ყოველდღე, დილის 10 საათიდან საღ. 5 საათამდე და საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე.

რაიკომის მდივანი **ვ. სიხარულიძე**


**არჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**
1939-40 წ. სეზონი.

| | |
|---|---|
| 23/II | მათი ამბავი |
| 24/II | მზის დაბნელება საქართველოში |

შვილი ელენე იანვარაშვილი, სიძე გენო ედილაშვილი, შვილიშვილი მალხაზი იუწყებიან
**მიხეილ გიორგის-ძე იანვარაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/II 7 ს. შემახის, 10. დაკრძალვა 24/II 4 ს. 5325

მეუღლე სადიკო, შვილი ანდრო მამალაძეები, უახლოესი მემკვიდრეები ვლადიმერ, მარო მამალაძეები, ალექსანდრე, ანიკო გიორგაძეები იუწყებიან, რომ 24/II 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ლეონტი ოთარის-ძე მამალაძის**
პანაშვიდი. 5329

მთ. საფთ. სამმართველოს თბილისის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ამავე ორგანიზაციის პარტკომის მდივნის და სტალინის რაიონის საბჭოს დეპუტატის
**გრიშა ცინცაძის**
გარდაცვალებას. 5330

მშობლები ალექსანდრე, მარო, ძმა მიშა, რძალი თამარ აკოფაშვილები, ბიძები ანტონ, შალიკო ფირალოვები იუწყებიან, რომ 24/II 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
**თამარ ალექსანდრეს-ასულ აკოფაშვილის**
სამოქ. პანაშვიდი. 5331

ქ. ფოთის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილება იუწყება ქ. ფოთის ტროპიკული სადგურის გამგის მოადგილის, ძველი მედმუშაკის
**ექიმ გრიგოლ პავლეს-ძე მეუნარგიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 24/II. 5318

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ქ. მეგრელიძე, დოცენტები გუგუშვილი, გამყრელიძე, მურაჩაშვილი, კაკაბაძე, პაპავა, ბახტაძე, ნიკოლეიშვილი, ტყეშელაშვილი, ცერცვაძე, ასისტენტები კვანტალიანი, გელაშვილი, ბურჭულაძე იუწყებიან თ. ჭაის მამის
**ივანეს**
გარდაცვალებას. 5319

დარო, სერგო ოსაძეები შვილებით, ქეთო, ელენე ბოსტაშვილები, სიმონ, სანდრო ნატროშვილები იუწყებიან, რომ 24/II 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
**მარგო ზალდასტანიშვილის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 5323

მეუღლე კაზდო შვილებით, სიძედრი აგრაფინა, კლეია სითათაშვილი მეუღლით, კალისტა ცირეკიძე ქმარშვილით, მარო ორჯონიკიძე შვილებით იუწყებიან, რომ 24/II 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**სამსონ ქაიხოსროს-ძე ტომარაძის**
პანაშვიდი. 5324

არტელ „ზონარის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე არტელის თავმჯდომარე ქიშვარდი მამალაძის ძმის
**მელიტონ მაქსიმეს-ძე მამალაძის**
გარდაცვალებას. 5328

ძმა ქიშვარდი, რძლები რისტინე და ანიჩკა მამალაძეები შვილებით კოლიათი და ასინეთით მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
**მელიტონ მაქსიმეს-ძე მამალაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/II 4 ს. გომბორის ქ. № 53.

მეუღლე დათა რამაზის-ძე გოცირიძე, შვილები სერგო, ბაბულა, ნინა, გიგა, აჩიკო იუწყებიან, რომ 24/II, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ნადო თომას-ასულ გოცირიძის**
სამოქალაქო პანაშვიდი.

მე-4 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და თანამშრომლები იუწყებიან გიორგი ჯაკობიას მამის
**პავლე ჯაკობიას**
გარდაცვალებას. 5326

დისწული აკვილინე, სიძე რობიტონ კალანდაძე შვილებით, სიძით იუწყებიან, რომ 24/II 2½ ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
**ვარდიკო შარაშიძე-წითლიძის**
სამოქ. პანაშვიდი. 5312

ახლო მეგობრები ექ. შ. იაკობაშვილი, ს. ნიკურაძე, ზ. ცხვედაძე, ბ. ბერძენიშვილი, გ. აბდუშელიშვილი, ვ. გობეჯია, ი. კობალაძე იუწყებიან ძვირფასი მეგობრის
**ლადო კოტეტიშვილის**
გარდაცვალებას. 5336

ლომთათიძე, ფრუიძე, ჭოჭუა, ღლონტი, ჭკუასელი, კლდიაშვილი, შავგულიძე, თუთია, რუსია, ჯაბურია, გაბუნია, კვერნაძე, სალაია, შადიაშვილი იუწყებიან
**გრიგოლ პავლეს-ძე მეუნარგიას**
გარდაცვალებას. 5304

ცოლი თამარ, შვილები: ოთარ, გერმიკო, დები ქსენია, კალერია, ძმები ივანე, გალაქტიონ, რძალი ანა შვილებით იუწყებიან, რომ 24/II, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი
**ლუკა დავითის-ძე ვადაჭკორიას**
სამოქალაქო პანაშვიდი.

დედა თამარ, ძმა ჟორა, ბაბუა დარო ჩიტაძეები იუწყებიან, რომ 24/II 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ვენერა არჩილის-ასულ ჩიტაძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 5332

სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის დირექცია, პარტიის და კომკავშირის ორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის ექიმ
**ლადო ილიას-ძე კოტეტიშვილის**
გარდაცვალებას. 5333

სარეწაო საბჭოს გემო-კავების კავშირის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კავშირის მთ. ბუღალტრის ლიუბას დედის
**მინადორა სიმონის-ასულ ჭანჭალეიშვილის**
გარდაცვალებას. 5334

შვილი ლიდა, სიძე სერგო, შვილიშვილი თამარ კვანტრიშვილები იუწყებიან საყვარელ
**იულიანა მესხიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება ზესტაფონიდან და დაკრძალვა ს. სვირში 24/II. 5337

რკ. გზ. მე-6 საშუალო სკოლის პედსაბჭო იუწყება ამავე სკოლის მასწავლებელ ნინო კაჭახიძის ძმის
**ლადო იოსების-ძე კაჭახიძის**
გარდაცვალებას. 5327



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩ № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულის—3-57-61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს—3-73-40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3-80-84. წერილების—3-73-24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1449